

საბჭოთა
ბიბლიოთეკა

სასაქონლო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 377.

კვირა, 14 აგვისტო 1911 წ.

დამატების № 66



ქართული ბიჭი, ნახატი კ. ქავთარაძისა.


მგზავნი

ნისლო, მოპშორდი მ. ნლორსა,
 აპყარე შენი სულარა,
 თორემ ვერ ჰხედავს მთვარესა,
 აღარც მზემ გამოუდარა!
 ცოდვაა მგზავრი მოღლილი,
 მარტოკა გლია ველადა,
 დეე ღიმილით კვდებოდეს,
 შენ რათ ეხვევი გველადა!
 აპყარე შენი სულარა,
 მოპშორდი ნისლო, მის თვალებს,
 იქნება სატრფომ მოკითხვა

მასთან გადასცა ვარსკვლავებს.
 სხივებს შეჰხედავ, გაიგებს,
 გული თვისთვად მიჰხედება,
 და გაფითრებულს ტუჩებით
 მომაკვდავს გაელიმება!

შენც კაეშანო, ჩემი ღლის
 დამლეო, მომსწრაფებელო,
 ნომშორდი, მოვკვდე ტკბილადა,
 ტიალო წუთისოფელო!

ი. ევლოშვილი.



ტრი სიმღერა

ღამეა, სევდით გულ-ჩახვეული,
 იღუმალებას მოუცავს არე;
 ურვა—კაეშანს ფროა გაუშლია,
 მწუხრს დაუჩრდილავს სული მგზნებარე.
 მხოლოდ ნიაფი მოუსვენარი,
 ტბის ქავლსა არხევს და აბუტბუტებს
 და შიგ ჩახუტულ მთვარის მკრთალ სხივებს
 ეამბორება, გულში იხუტებს.
 ხან ფრთას შეჰკეცავს, გაინაბება,—
 ხან აშრიაღებს ტყეს ლერწამისას
 და ჟამს მწუხარეს იღუმალ კვნესით
 აკორდსა შეჰქმნის სევდის ღამისას.
 ოჰ! რა რიგ მიყვარს მე ეს სიმღერა,
 ის ეგუება ჩემს დაკოდილ გულს;
 თუმც მწუხარეა, ვთ ზევსის კვნესა,
 მაგრამ მასში ვგრძნობ ტანჯვას... სიხარულს!

I

მთვარემ ჩაჰკრიფა მკრთოლვარე სხივნი,
 მთას მიეფარა ნისლით გაცრეცილის;
 ზეფირი ყვაფილს კდემით ჩაეკრა,
 ფერი შეუკრთა ცა-ქვეყნის ყრუ ძილს.
 საღს ნაპრაღს მო'ხლტა ნაკადი წმინდა,
 პირა დაჰბანა ოცნების ხეხილს,—
 და ბანი მისცა ნელის დუღუნით
 განთიადისა ტკბილ გამოძახილს:

„გაიღვიძე მაშვრალთ კერავ,
 კლავ გიღიმის გაზაფხული,
 მის ნათელ სხივს თან მოჰყვება
 სიამე და სიხარული;
 გწამდეს, მალე ზამთრის ხუნდი
 უმოწყალოდ დაიმსხვრევა;
 თან გაჰყვება სუსხისაგან
 დამზრალ ყვაფალთ კრულვა, წყევვა;
 კვლავ დააქვეს ვარდი სურნელს,
 კვლავ სიცოცხლე განახლდება
 და მგოსნისა გრძნობა წმინდა
 ფრთებს შეისხავს ამაღლდება...“

ოჰ! რა რიგ მიყვარს მე ეს სიმღერა,
 განთიადისა წინამორბედი;
 მასში იღვიძებს სულისა სწრაფვა,
 მასში იშლება ტკბილა ირედი...

ს. ფაშალიშვილი.

კ ე ლ

(დახაზრული *)

10

გრიშამ არ გაუმართლა იმედი თავად ფარნაოზს; რბე-
 კას წინასწარმეტყველება გამართლდა. „ღობტური“-კი-არა,
 უბრალო სამსჯავროს მოხელეც არ გამოვიდა. რაღაც მიზე-
 ზის გამო, იმ წელიწადსვე აუხირდა ერთი მასწავლებელი,
 საქმე იქამდე გამწვავდა, რომ მასწავლებელთა საბჭომ გადას-
 წყვიტა დაეხოზა სასწავლებლიდან. „ინსპექტორი“ სხვა
 კაცი იყო, სხვა თვლით უყურებდა სწავლა აღზრდის საქმეს,
 ბევრ რამეში არ ამტყუნებდა ლევაკსამიძეს და უფრო მას-
 წავლებლის მკვახე ხასიათს სცნობდა დამნაშავედ, მაგრამ
 მასწავლებლებს „ავტორიტეტი“ რომ არ დასცემოდათ,
 დასთანხმდა საბჭოს დადგენილებას. საქმე მაინც კარგად
 მოაგვარა. ფარნაოზი დაიბარა და ურჩია: „ტფილისის ქარ-
 თუო გიმნაზიაში გადაიყვანე ბავშვი, ამისი თავდები მე ვარ
 რომ ისწავლის, მხოლოდ ცოტა ამაყია, და აქაურ მასწავ-
 ლებლებს ვერ შეეთვისაო“.

ფარნაოზმაც აღარ აყოვნა, იმ დღესვე შეიტანა თხოვ-
 ნა და ითხოვა: ბავშვი გამყავს, მოწმობები დამიბრუნეთო.
 აღმზრდელმა ნიშნებიც კარგი გააყოლო და წარდგენის წე-
 რილიც მისცა. გრიშა შეაწუხა ამ კარემობამ: სამშობლო
 მხრიდან, საღდაც სხვაგან, მეორე „გუბერნიაში“ უნდა წასული-
 ყო, დაშორებოდა მშობლებს, სკოლის ამხანაგებს და ყველაზე
 მეტად კესოს დაშორება სწყინდა, როპლის მიხეზით ბოლო
 დროს ცოტა სწავლასაც უკლო, და იარ დღეში ერთხელ მაინც
 ინახულებდა, ბავშურის ღაპარაკით მიაცილებდა სახლამდე და
 მერე თავის ბინისკენ წავიდოდა. ფარნაოზმა ისე საჩქაროდ
 მოაწყო ყველაფერი, ისე უეცრად მოიყვანა ეტლი და წაი-
 ყვანა გრიშა სადგურზე, რომ უკმანსკელმა ვერც-კი მოას-
 წრო ენახა კესო და გამომშვიდებოდა. ისინი რომ რკინის
 გზის სადგურში მივიდნენ, მატარებელი ჩქარა გავიდა, გრი-
 შას არ დასცლია ბევრი ფიქრი. პირველი სადგურის შემ-
 დეგ ახალი სახანაგებმა გაიტაცა. ფანჯარაში თავ გადაყო-
 ფილს, სხვა და სხვა სურათები ეშოგებოდა თვალ-წინ. ხში-
 რი ღამე იყო, რომ ჩამოვიდნენ ქალაქში. ფარნაოზმა ვაჟ-
 რობა დაუწყო მეეტლებს. ძუნწ მუშტარს უჩვევა მეეტ-
 ლეებმა ზურგი შეაქციეს და სრულიად არ მოერი-
 დნენ მის შეხუნებულ შინელს და ფერწასულ „ზაგო-
 ნებს“. მეტი რაღა ჩარა იყო, დაიჭირა მუშა, აჰკიდა ზურგს
 ბარგი-ბარხანა და ეწვია ერთ საშუალო სასტუმროს. დაღ-
 ლილ გრიშას ტკბილად ჩაეძინა, მეორე დღეს კი თხოვნით და
 თანწადებული გასაცნობი ბარათით წარუდგნენ ქ. გიმნა-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 65.





პატარა ჯარისკაცები („პოტუშნიკი“) ფინლიანდიაში.
სასანიტარო სამსახური.

ზიის „ინსპექტორს“. გრიშა სასწავლებელში მიიღეს. მესამე დღეს დაახინავა მამამ ერთ შორეულ ნათესავის ოჯახში, ცოტა სახარჯოც დაუტოვა, მამაშვილური დარიგება მისცა და სახლში დაბრუნდა.

ახალმა სასწავლებელმა, უცხო მასწავლებლებმა და ახლმა ამხანაგებმაც რაღაცნაირი გავლენა იქონიეს გრიშაზე. ის სრულებით გამოიცვალა, ისე დაეწაფა სწავლას, თითქოს უკვდავებს წყაროს. ერთს ხანს ახსოვდა კესოც, ორ გზის ღია ბარათიც იყიდა ლამაზის მხატვრობით, რამდენჯერ მოინდომა მიეწერა, ვერ მოახერხა დაწერა, არ იცოდა რით დაეწყო, რითი დაესრულებინა. ყოველთვის სამერქისოდ გადასდებდა ხოლმე. დღეს-დღე აჰყვა, კვირას კვირა, თვეს კიდევ თვე, დიდმა ქალაქმა თითქოს შთანთქა გრიშა. თეატრი თავიდანვე უყვარდა, ეხლა აღარ აკლდებოდა ხეირიან წარმოდგენას. სხვა და სხვა საგულისხმო წიგნებს მოჰკიდა ხელი. სრულებით აღარ დარჩა დრო ეფიქრნა პატარა საცოლეზე, და რამოდენიმე თვის შემდეგ დავიწყების ფეხლმა დაჰფარა კესოს ხსოვნა გრიშას გულში.

ოთხი წელიწადი ქალაქში დაჰყო. ამ ხანში სამ გზის იყო სოფელში და ყოველთვის სხვა გზით, ერთხელაც აღარ გაუვლია იმ ქალაქში, საცა კესო სცხოვრობდა. განგებ-კი არ არიდებდა თავს, აღარც-კი ახსოვდა.

მომწიფდა, დაფუტაცდა; გიმნაზია დაასრულა, მამას ფული მოსთხოვა, სამგზავრო „ჩემოდანი“ კისერზე გადიგლო და სხვა ოთხ ქართველ ამხანაგთან ერთად სამხდვარ-გარედ გაემართა განათლების მისაღებად. დიდი ხანი გავიდა. ბევრი რამ შეისწავლა, მოეზადა, ბევრი გამოსადეგი ცოდნით აღიჭურვა და შემდეგ დაბრუნდა რუსეთში. იქ უნივერსიტეტში ჩაერიცხა, რათა რუსეთის სახელმწიფოდან „დიპლომი“ მიეღო, უფლება ჰქონოდა და სამერქისოდ პროფესორობის კათედრა დაეჭირა.

იმ დროს მოუხდა სერგოსაც პეტერბურგში ყოფნა; სრულიად მოულოდნელად შეჰხვდა ერთ წრეში. სერგომ იცოდა ვინც იყო ლევარსამიძე, მიჰხვდა ვინც იყო ეს შქვერ-მეტყველად მოლაპარაკე, რომელსაც ახალგაზრდობა უკვე პროფესორს ეძახდა. სერგომ მოინდომა ამ ახალგაზრდა მსწავლულ ადამიანს დაახლოვებოდა და შეასრულა კიდევც.

ამ ხანში ნადია გათხოვდა ვიღაც სამხედრო სამსახურის კაცზე, შვილებიც ჰყავდა. კენინა რებეკა გარდაიცვალა, გრიშას დანახვის ნატერაში აღმოხდა სული, მაგრამ სასიქადულო მამულისშვილი შორს იყო ამ დროს სამშობლოდან.

ფარნაოზი დაბერდა, დაბეჩავდა. მიღარბებულ ეზოში ობლად და ცივად გამოიყურებოდა ძველი დიდი ოდა. დიდმარხვის გრძელ დღეებში, მთელი დღეობით აივანში იჯდა უდროოდ წელში გატეხილი ფარნაოზი, მისი ძველი შინელი ეხლა უფრო გაფხეკილიყო, ქუდს სრულიად გასტეხოდა „კარტუზი“. ფარნაოზი იჯდა სკამ-ლოგინზე და გაჰყურებდა გზას; „იქნება ღმერთმა გადმომხედოს და ერთხელ მაინც მინახულოს შვილმა ამ მოხუცებულობის დროსო ამბობდა ხოლმე. ბოლოს ისე მოუძღურდა, პენიის მისაღებადაც-კი ველარ მიდიოდა ქალაქს. თავის ცანცალით კიბესთან თუ მივიდოდა გაჭირვებით. მისი მნახველი მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი იყო.

კესომ სთხოვა თავის სოფლის მასწავლებელს: „გამაცვალე თანამდებობაო“. ხუთ-თუთმინი ადგილი მას დაუთმო და თავათ მის ნახევარს დასჯერდა, რადგან ამ ხანში სერგოს მისი დახმარება აღარ ეჭირვებოდა და თავათ იკვლევდა გზას. კესომ არჩია სოფელში წასვლა, დიდი ხნის მიზანი განუხორციელდა, ყოველ დღით შედიოდა თავის საყვარელ, ღარიბ ფეხშიშველა ბავშვებთან და ასწავლიდა. ის მასწავლებელიც იყო მათი, ამხანაგიც, მეგობარიც. სულიერი ექიმაც და ყველაფერი, რაღაც-კი შეეძლო ყოფნა. მოწაფეები უყვარდა მას წმინდა სიყვარულით და ეს სიყვარული უწყობდა ხელს ნამდვილი მფარველობა გაეწია საწყალთათვის. გამხრდელ დიდდას ნაცვლად, დედინაცვლი ჰყავდა თავისთან. მიუხედავად იმისა, რომ დაჩაგრული სიყმაწვილე გამოველო მის ხელში, სამაგიეროს პატივისცემით უზღავდა. დიდდასაც კი დაადგა ლამაზი ძველი, მაგრამ საუკეთესო ძველი იყო როდამისათვის კესოს ყველასადმი მოსიყვარულე გული. ის რომ სანთელივით ეწირებოდა სოფლის კეთილ-დღეობას, ასეთ ადამიანის აღზრდას, უბრალო სოფლის დედაც-კი, მაგრამ სამაგალითო სულის პატრონმა, როდამმა ჩაუყარა საძირკველი, უკეთესი ძველი შეუძლიან კაცმა აღუგოს თავის თავს?

კესო მოხუც ფარნაოზს ხშირად ნახულობდა, კვირაობით თითქმის ნახევარ დღეს რჩებოდა მასთან. ეხლა ყველაფერი იცოდა გრიშას შესახებ, წინანდელი ბუნდოვანი ცოდნა მის შესახებ მოხუცმა გამოარკვია. უფლიდა უძღურ ფარნაოზს, ანუგეშებდა, იმედს აძლევდა: „ჩამოკვივაო“. ამით ინელებდა დაკარგულ და მიუწოდებელ სიყვარულის დარდს.

რამდენი ხანი გადიოდა, სიყმაწვილე ჩელში ეცლენ-ბოდა და ხანში შედიოდა, იმდენად უფრო, უახლოვდებოდა ბუნებს, იმდენად მეტ სიმშვენეირეს ჰხედავდა მასში, რასაც წინად ვერც-კი ამჩნევდა. როცა თვით ბუნების სიმშვენეირის წარმოადგენელთაგანი იყო, არ ეჭირვებოდა სხვაგან, ბუნებაში ეძია სიმშვენეირე თვით შვენებს. დღეს, თვითეულ ღრუბლის ლამაზად გამონაკეთას ლურჯ



პატარა ჯარისკაცები (მეზღავურები).

ცაზე, ვარსკვლავთა ციმციმს, ნიავის ჩურჩულს, წყაროს ჩხრიალს, გაზაფხულზე ფოთოლთა შრიალს, ელვა ქუხილსა და მძვინვარე ქარს, რომელიც ზუილით ჰგლეჯს ხესა და მიწას და კოკის პირული წვიმა შხუილით ჩამორბის დაუსრულებელ სიმაღლიდან, უსიამოვნოდ ხდის ადამიანის გულს, ყველა ამას ალტაცებაში მოჰყავდა კესო. გარინდებული ყურს უგდებდა და თვალ ჩასტერებით ჩასჩერებოდა ამ ბუნების ცვალებადობას. რაღაცას გრძნობდა და ხან გამოშვებით დაქრილ მტრედით ფართხალობდა იმისი გზლი.

12

უკანასკნელ კურსიდან სააღდგომოდ მოულოდნელად ჩამოვიდა სერგო. შაბათ საღამოს სკოლის ქისკართან დადგა დილითანი; ვიღაც გადმოხტა და მოხუცმა იაგორა მედელეენემ მოაწოდა დიდი „ჩემოდანი“. პატარა ბიჭი ქისკარში გახტა, იცნო სერგო, გახარებულმა დაავლო ბარგს ხელი და გაჰქანდა კესოსთან მახარობლად.

ვიღაც ცილინდრიანმა გამოჰყო თავი დილითიდან, სკოლას გაჰხედა, ვერავინ დაინახა, მერე სერგოს დაუკრა თავი ნელის დიმილით, დალითანი დაიძრა და უცხო მგზავრიც თან წაიყვანა.

— საიდან გაჩნდი, სიხარულო, რომ არ მოგელოდით, არც იწერებოდით?!— ეუბნებოდა კესო სერგოს და ალტაცებული დაფუსფუსებდა. საწყალი დედაც იქვე იდგა და შვილების შეუმჩნეველად ჩუმად იშრობდა თვალეზე გადმოდენილ ცრემლს. სერგო ხან დედას ეხვევოდა, ხან დას. პირველმა აღელვებამ გაიარა, ყველა დამშვიდდა, დედა სამზარეულოში შებრუნდა. სახვალთა სამზადისის ეხლა მეტი მომზადება სჭიროდათ.

— უჰ, კესო, რომ იცოდდე, რა ბედნიერი ვარ, რა მხიარული, ჩემი სიხარულის მიზეზი შენა ხარ, შენ შეგეგება და, აბა, გამოიცანი.— კესო შეაჩერდა თვალეში, სერგომ უღვაშები დაიგრიხა, აღმაცერად, დიმილ-ნარევე თვალთ დახედა თავის უღვაშის ბოლოს. კესომ თავი გაიქნია:

— ვერა, ვერ გამოვიცანი.

სერგომ ხელი-ხელში მოჰკიდა, თავისკენ მიიზიდა.

— მე და ის ერთად ჩამოვედით...

— ვინ ის?— და კესოს ფერმა გადაჰკრა.

— გრიშა, — ჩუმად ჩასჩურჩულა. კესოს რაღაცა მოუვიდა, თითქოს გულს შემოეყარაო, დატორტმანდა და რომ არ წაქცეულიყო, იქვე სკამს დაეჯინა. სერგოც მიეშველა და ნელა დასვა ტახტზე. კესო რომ იმ დროს მოჰკვდარიყო, ფერი აღარ ეცვლებოდა. სახე-ჩანაცრულს მთელი ტანი უკანკალებდა, მერე აქა-იქ, წითელი ნიშნები გამოუჩნდა ლოყებზე და ცოტა ხნის შემდეგ სიწითლემ შეუცვალა მკერთალი სახე.

— სიდან, როგორ შეხვდით?— დაიჩურჩულა ძლივს და თავის უღონო თითები მოუქიჩა სერგოს თითებს.

— კესო! გენაცვალე, არა გრცხვენია? დამშვიდდი, როგორ გახდი? ყველაფერს გეტყვი.

— ჰო, სთქვი, სთქვი, შენ ეხლა ყველაფერი იცი...

— ჰეტერბურგში შეხვდით. მე ვიცანი, ის რას მიცნობდა. მერე დავუახლოვდით ერთმანეთს, გავემცნაურეთ... ყველაფერი ძველი, წარსული განახლდა მასში.

— ნუ, ნუ მეუბნები, — კესომ მოხუცა თვალეები და თავი ძმის მკერდს მიეყრდნო.

— სად მე, სად ის... დიდი საზღვარია ჩვენ შორის, — დაიკვნესა ქალის გულმა.

— არა, კესო, შემცდარი ხარ... შენ არ იცი, ვინ არის ის, რა ადამიანია... რა სიმაღლეზეა ასული... უცქერი,

უსმენ... და როგორც მზის შუქი გჭრიდეს თვალეში, რებოდეს სახეში, ისე მისი ცოდნა, მისი სიდიადე, სტოვებს კაცის ტვინზე გავლენას.

— ბედნიერია? არავინ უყვარს?— მის გულს საათივით გაჰქონდა ძაგა-ძუგი და უფრო იმაღავდა სახეს სერგოს მკერდზე.

— დღემდის, მხოლოდ მეცნიერება... ქალი, დედაც-ცი, მისთვის არ არსებობდა... ჩემი შეხვედრის შემდეგ... შენ...— კესო შეკრთა, უფრო მოიკუნტა, საცოდავ ბავშვს დაემსგავსა.

— კესო, მსხლის ძირი გახსოვს? ილიც-კი გაიხსენა, იქ იყო ხომ... ხომ იქ, გა...— აღარ დაათვა და აკოცა შუბლში.

— ეხლა მოვიდა, ჯერ მამას ნახავს, როგორც მოვალეობა არის და მერე შენსკენ მოილტვის მისი გული...

შუა ღამე გადავიდა... ზიიმ-ზიიმ-ზიიმ! მოისმა ეკლესიის დიდი ზარის ბოხი ხმა. ცოტა ხნით მიძინებული სოფელი წამოიშალა ლოგინში, მოირთო, მოიკმაზმა სადღესასწაულოდ და ეკლესიისკენ გაეშურა, რათა იქ შეხვედროდა დიდებულ დღეს, უკვდავ იესოს დღესასწაულს. ფეხზე იყო მთელი სოფელი, ფეხზე იყო კესოს სახლიც. დედას კიდევ ვერ გაეთავებინა სამზარეულოში ფუსფუსი. გაჩაღებულ ნათელ ოთახში ტახტზე მიწოლილიყო კესო, სერგო ბოლთასა სცემდა ოთახში და ბევრ რამ საგულისხმოს უამბობდა.

ნელა შემოიღო ქისკარის პატარა კარი. და-ძმამ ორთავემ ცქვიტეს ყურები. ცოტა ხანი კიდევ და აივანში მოისმინელი ფეხის ხმა.

კესო დამფრთხალ შეველივით წამოვარდა, გაშლილი თმა ტევრად დაეფინა ბეჭებზე. შეჰკრთალი გაჩერდა შუა ოთახში, გამოუჩვეველი შიში გამოეხატა სახეზე და მიაჩერდა კარებს. სერგო კალიასავით მიხტა კართან, გაალო და ჩამოეცალა; ნაკრისფერ ტანისამოსით შემოვიდა გრიგოლი, ცილინდრი მოიხადა და გამოუჩნდა ქალარა შერეული გრუზა თმა... სერგომ კარი მიხურა და შეუმჩნეველად გავიდა ოთახიდან.

— კესო! მავატიე... მავატიე და შემირიგდი...— მიუახლოვდა. ქალი თავდახრილი იდგა.

— ძვირფასო კესო... მომეცი ხელი, მე ის გრიშა ვარ, ისევ ის, პატარა, რაც შენ გახსოვს... სერგო გეტყვოდა ჩემს სიწ...— არ დაათვა. კესომ ასწია თავი, ვედრებით შეხედა, ტუჩები აუთრთოლდა, ორივე ხელი მიაწოდა კანკალით. და რაღაც დაიჩურჩულეს მისმა ტუჩებმა. ერთის წუთის შემდეგ, გულ-შელონებული კესო ახალგაზრდა მსწავლულს ესვენა მკლავზე, ცივ ხელებს უკოცნიდა, უაღერებდა. ორი წუთი კიდევ და კესო აღარ იყო. გული დაუდნო მოლოდინმა. ველარ შესძლო ატანა აუწყრელი ნეტარებისა და უეცრად დადნა, გაშრა, როგორც ნაპი მზის სხივებზე.

მ. გარიყული.

